დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯ "იბერიისთვის" "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ლანა გაჩეჩილაძე

წევრები:

თეა ბარამაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „იბერია"**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **212682051**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 5 მაისის №486953 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 23 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯ "იბერიაში" (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №61), (შემდგომში-დაწესებულება), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "გრაფიკული დიზაინი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 -ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ (შემდგომში - პროგრამა) განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე, დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო აუდიტორიები და ბიბლიოთეკის კატალოგი, შეაფასა საგანმანათლებლო მატერიალური რესურსების რელევატურობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუ ჩაატარა პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან. ვინაიდან განაცხადის თანდართულ ფაილებში პროგრამის განხორციელების ფორმა არაერთგვაროვნად იყო დაფიქსირებული ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დაზუსტდა და დასკვნაში მითითებულია პროგრამის განხორციელების ფორმად - ,,იმიტირებულ სამუშაო გარემოში''.

დაწესებულებას 2.2 კომპონენტი შეფასებული ჰქონდა ,,მეტწილად'' და წარმოდგენილი იყო მატერიალური რესურსების შესყიდვის თაობაზე შესაბამისობის გეგმა. ვინაიდან ვიზიტის დროს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული საჭირო მატერიალური რესურსები უკვე შესყიდული და ფიზიკურად წარმოდგენილი იყო კოლეჯში, ექსპერტებმა ,,2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსის'' კომპონენტის შეაფასეს სრული შესაბამისობით.

აღსანიშანვია, რომ ვიზიტი მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში ჩატარდა. სტანდარტის დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა. ექსპერტთა ჯგუფმა შეჯერებული პოზიციის საფუძველზე განმავითარებელი რეკომენდაციები გასცა.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.3 მასწავლებლებს აქვთ სწავლების გამოცდილებაც და სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენციაც. გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას ახორციელებენ, თუმცა არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებით. სასურველია, კოლეჯმა მასწავლებლებს დამატებით შესთავაზოს სატრენინგო პროგრამა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციასა და შემდგომში მკიცებულებების ვერიფიკაციასთან დაკავშირებით.

2.2.1.7 სასურველია, კოლეჯმა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი გაიანგარიშოს სრული ჯგუფისთვის, 15 პირის შემთხვევაში მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები.

2.3.1.2 ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა კოლეჯს შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ასევე სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ინიცირების გაგზავნით. თუმცა მიმდინარე ეტაპზე ცვლილების ინიცირების შესახებ ცენტრის ნაცვლად ინფორმაცია პროფესიული უნარების სააგენტოს ეგზავნება. რიგ შემთხვევაში კოლეჯის რეგულაცია გასაახლებელია პროფესიულ განათლებაში მიმდინარე და დამკვიდრებული სიახლეების მიხედვით, შესაბამისად, სასურველია კოლეჯმა უზრუნველყოს გარკვეული პერიოდულობით რეგულაციების განახლება მიმდინარე სიახლეების კვალდაკვალ.

2.4.1.4 კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია'', რომლის მიხედვითაც კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას სტუდენტთა ჩართულობით. თუმცა კოლეჯის რეგულაცია არ ითვალისწინებს პირისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცებას. სასურველია, მეტი სანდოობისა და სტუდენტის ინტერესების დაცულობისათვის კოლეჯი ამტკიცებდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4.1.5 პროგრამას არ აქვს მოდული ,,პრაქტიკული პროექტი", რომელიც საჭიროებს კომპანიებთან ერთად განხორციელებას, კოლეჯი პარტნიორებთან გეგმავს მხოლოდ სასწავლო ექსკურსიებს სხვადასხვა მოდულის ფარგლებში. ამდენად, სასურველია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში დაზუსტდეთ თანამშრომლობის პირობები.

2.4.2.1

• კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" (ცვლილების ბრძანება №31, 04.06.2024), რომელიც მოიცავს დანართი №1-ს, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. რეგულაციის შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია ხორციელდება შეფასების პროცესამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე. პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს (სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს) წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესი ასევე გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 31-ის სახით, რომლის მიხედვით მოდულზე სწავლის დაწყებამდე, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, შეიმუშავებს სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტს და უთანხმებს დარგის სპეციალისტს.
მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით შეფასების ინსტრუმენტი შეფასების პროცესამდე 2 კვირით ადრე შემუშავდება მასწავლების მიერ. სასურველია, სტუდენტთა შეფასების პროცესთან დაკავშირებული საკითხები ერთგვარად რეგულირდებოდეს კოლეჯის სხვადასხვა მარეგულირებელ აქტებში.

• ვიზიტის ფარგლებში მასწავლებლებთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამების რაოდენობიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევაში, ვინაიდან კოლეჯს მხოლოდ ერთი პოზიცია აქვს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისთვის (სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი) და ხშირად დაკავებულია, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისთვის მასწავლებლები კონსულტირებას გადიან ხარისხის მიმართულებით დასაქმებულ პირებთან - ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტები.
სასურველია, სტუდენტთათვის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური შეფასებისთვის და ასევე, ხარისხის მიმართულებით თანამშრომლებისთვის ინტერესთა კონფლიქტის სრულყოფილად გამორიცხვის მიზნით კოლეჯმა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების დამატება სასწავლო პროცესის მიმართულებით, ვინც ჩართული იქნებიან ვალიდაციის პროცესში.

• პროგრამა ითვალისწინებს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, რეკომენდირებულია, კოლეჯმა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების საჭიროების დადგომამდე გონივრულ ვადაში შეიმუშაოს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში Secondary vocational qualification in graphic design
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	№10, 21/02/2025 ცვლილება- №38, 23/05/2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ №61
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯი ,,იბერია“ არის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში იმერეთის რეგიონში მოქმედი, მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიას წარმოადგენს:

ქართულ და საერთაშორისო შრომით ბაზრებისთვის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, გაცნობიერებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე სამუშაო ძალის მომზადება, მათი ინდივიდუალური, პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

რისთვისაც კოლეჯი ახორციელებს თანამედროვე, შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამის, პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებზე სწავლებას კეთებით; ხელს უწყობს საუკეთესო და უმაღლესი ხარისხის განათლების მიღებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სოციალურ პასუხიმგებლობის ფარგლებში, საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობით, ხელს უწყობს იმერეთის რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კოლეჯის 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 1.2 აქტივობას - შრომის ბაზრისა და მოქმედი პროფესიული განათლების სტანდარტების მოთხოვნის გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა, რის საფუძველზეც კოლეჯს სურს ,,გრაფიკული დიზაინის'' პროგრამის დამატება.

იმერეთის რეგიონში ჯერჯერობით არცერთი დაწესებულება არ ახორციელებს ,,გრაფიკული დიზაინის'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ახალგაზრდები თბილისში მიდიან სასწავლებლად და შემდეგ მარტივად საქმდებიან. პროგრამა იძლევა თვითდასაქმების და ონლაინ ფრილანსერად მუშაობის შესაძლებლობას, არამარტო საქართველოს, ასევე საერთაშორისო შრომით ბაზარზე, გრაფიკული დიზაინერებს მაღალანაზღაურებადი სამუშაო აქვთ, რაც ასევე მომხიბვლელს ხდის ამ პროფესიას. UPWORK-სა და LINKDIN-ის საერთაშირისო დასაქმების საიტებზე გრაფიკული დიზაინის საშუალო წლიური შემოსავალი გამოცდილების შესაბამისად მერყეობს 43-58 ათას დოლარამდე. კოლეჯმა წარმოადგინა ასევე ქართული დასაქმების პლატფორმების JOBS.GE და HR.GE ანალიზი, რომლის თანახმად ორი თვის მონაცემებით 20 ვაკანსია გამოქვეყნდა და ანაზღაურება 1300-2000 ლარის ფარგლებში მერყეობს.

კოლეჯმა წარმოადგინა დასაბუთება, რომლის მიხედვით გრაფიკულ დიზაინერებზე მოთხოვნა იმერეთში საკმაოდ მაღალია. კოლეჯის ფოსტაზე შემოსულია არაერთი განცხადება LINKDIN.COM გვერდიდან და ფიქსირდება მოთხოვნა გრაფიკულ დიზაინერებსა და UI/UX დიზაინერებზე იმერეთში, ძირითადად ნახევარი განაკვეთით. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შრომის ბაზრის ანალიზიდან, რომლის მიხედვით მოთხოვნა მზარდია გრაფიკულ დიზაინზე, კერძოდ გრაფიკული და მულტიმედია დიზაინერების ჯგუფზე ფიქსირდება 425 და 324 ვაკანსია წლების მიხედვით, რაც საერთო სექტორის 13-14%-ს შეადგენს.

კოლეჯის მიზანია, პროგრამის კურსდამთავრებულებს ხელი შეუწყოს არამარტო თავის პარტნიორ კომპანიებში დასაქმებაში, არამედ დაეხმარება, რომ მომავალში მათ თვითონ შეძლონ სარეკლამო კომპანიის შექმნა, რომელიც რეგიონში და მის გარეთ ძლიერი პროფესიონალებით დაკომპლექტდება.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით - სრული ზოგადი განათლება. პროგრამის ხანგრძლივობა სასწავლო გეგმის მიხედვით შეადგენს 66 კვირას, დაახლოებით 1,5 სასწავლო წელს (ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის).

აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის №39 ბრძანებით (ცვლილება დირექტორის მ/შ 24.03.2025 წლის №16 ბრძანება) დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' შესაბამისად. კერძოდ, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შერჩევა ხორციელდება მუხლი 10-ის შესაბამისად. კოლეჯი პროგრამაზე სტუდენტთა მიღებას გეგმავს მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის №19 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია'' (ცვლილების ბრძანება 11.11.2021), რომლის მიხედვით კოლეჯს აქვს კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რაც ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინი" პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთება. კოლეჯს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა გააჩნია ძირითად მისამართზე, ქ. ქუთაისში, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61-ში, კერძოდ:

C გარემო გამოიყენება პროფესიული მოდულისთვის ,,დიზაინის პრინციპების გამოყენება" და განთავსებულია კოლეჯის ეზოში განთავსებულ ერთ სართულიან შენობაში, პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა - 15;

B გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია N203) განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის მეორე სართულზე. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა - 15;

კოლეჯის დასაბუთებით, ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არის 30 პროფესიული სტუდენტი/მსმენელი.

ვინაიდან პროგრამისთვის გამოყოფილია ერთი B გარემო, ამავდროულად პროგრამა საკმაოდ დატვირთულია საათობრივად და ჰყავს ძირითადი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი 2 პირი (რომლებიც ამავდროულად დასაქმებულები არიან სხვაგანაც და ამავდროულად კოლეჯის რეგულაცია ითვალისწინებს, რომ კვირეული საკონტაქტო დატვირთვა მასწავლებლისთვის არ უნდა აღემატებოდეს 30 სთ-ს), ექსპერტებმა შესაძლებლად მიიჩნიეს კოლეჯმა თითო მიღებაზე მიიღოს 1 ჯგუფი (15 ადგილი). აღნიშნულის გათვალისწინებით მეორე სასწავლო წელს პროგრამაზე ჩარიცხული იქნება უკვე 30 პირი. აღნიშნულს დაეთანხმა კოლეჯის წარმომადგენლები და ჯამში პროგრამაზე განისაზღვრა 30 ადგილი.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
კოლეჯის საბიბლიოთეკაში დაცული ლიტერატურა ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. სასწავლო რესურსები მითითებული პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებში, უმეტესწილად მითითებულია ვიდეო-რგოლების ლინკები ინტერნეტიდან. სრული ჩამონათვალი ინახება კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებში და სტუდენტურ სერვერზე სტუდენტების მიერ მარტივად წვდომისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 21 თებერვლის №10 ბრძანებით. ვინაიდან კოლეჯი არ გეგმავს პროგრამის დისტანციურად განხორციელებას ვიზიტის დროს დაზუსტდა აღნიშნული საკითხი და ცვლილება განხორციელდა პროგრამის ძირითად დოკუმენტში. ასევე დაზუსტდა კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ჩანაწერი, რომლის მიხედვით პირს კვალიფიკაცია ენიჭება საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში. ასევე, შეიცვალა სასწავლო გეგმა და დაზუსტდა საათობრივი დატვირთვის ტექნიკური საკითხები (ცვლილების ბრძანება №38, 23/05/2025). საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია“ წესდებისა“ და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება აქვს კოლეჯის დირექტორს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, არ უჩენს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს პროგრამის შინაარსთან ან სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით. დასახელება ემთხვევა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დასახელებას, რომლის საფუძველზეც შემუშავდა პროგრამა.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას (ქართულ და ინგლისურ ენაზე), მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ქართულ და ინგლისურ ენაზე), მიზანს, დასაქმების შესაძლებლობებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების დეტალურ აღწერას, პროგრამის სტრუქტურს, პროგრამის მოცულობას და ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას და კრედიტების მინიჭებას, კვალიფიკაციის მინიჭებასა და მიდგომებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად მოდულებს, პროფესიულ მოდულებს და სასწავლო გეგმებს. პროგრამა ასევე მოიცავს ქართული ენის მოდულებს. ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,გრაფიკული დიზაინის'' პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით
- ,,გრაფიკული დიზაინის'' პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის №39 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (ცვლილება დირექტორის მ/შ 24.03.2025 წლის №16 ბრძანება)
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის №19 ბრძანებით დამტკიცებული ,პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით'' (ცვლილების ბრძანება 11.11.2021),
- ,,გრაფიკული დიზაინი" პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთება.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია" წესდებით"
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით"
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით - 2025 წლის 21 თებერვლის №10 ბრძანებით (ცვლილების ბრძანება №38, 23/05/2025).
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამა სრულად განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. კოლეჯი მხოლოდ გაცნობითი ხასიათის სასწავლო ექსკურსიების განხორციელების მიზნით თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან.

კოლეჯმა განაცხადთან ერთად წარმოადგინა 2025 წლის 24 თებერვლის №11 ბრძანება გაუმჯობესების გეგმის დამტკიცების შესახებ, რომლითაც დამტკიცებულია ,,გრაფიკული დიზაინის'' პროგრამის გაუმჯობესების გეგმა 2.2.1 კომპონენტისთვის, კერძოდ კოლეჯს მეტწილად აქვს შეფასებული 2.2.1 კომპონენტი და 6 თვიან ვადაში გეგმავდა პროგრამის მინიმალური მატერიალური რესურსის შეძენას, კერძოდ 25/08/2025-მდე, პასუხისმგებელ პირად გათვალისწინებულია - ფინანსური მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი და შესყიდვების სპეციალისტი, დაფინანსების წყარო - ,,დაწესებულება''.

ვიზიტის დროს ექსპერტებს ადგილზე დახვდათ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები. კოლეჯმა შეისყიდა პროგრამით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და სხვა მატერიალური რესურსიც: ,,სტანდარტული პერსონალური კომპიუტერ(ებ)ის კომპლექტი (სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) – 17 ცალი" - მიღება-ჩაბარების აქტი №31; ,,გარე მყარი ვინჩესტერი 1 ტბ - 1 ცალი, ფლეშმეხსიერება USB Flash 32 GB – 3 ცალი, კომპიუტერის მაუსი - 15 ცალი, დინამიკი GENIUS – 1 ცალი, სვიჩი რვა პორტიანი - 1 ცალი" - მიღება-ჩაბარების აქტი №37; ,,სამხატვრო სკამი ტუმბო (450X350X350სმ) – 30 ცალი, ნატურმორტის მაგიდა რეგულირებადი (600X450X450სმ) – 15 ცალი" - მიღება-ჩაბარების აქტი №53; ფოტო პრინტერი Epson EcoTank L8100 MFP – 1 ცალი" - მიღება-ჩაბარების აქტი №54; ,,თაბაშირის ფიგურა სფერო 14 სმ - 15 ცალი, თაბაშირის ფიგურა კუბი 14 სმ/14სმ - 15 ცალი, თაბაშირის ფიგურა კონუსი 14სმ/22სმ - 15 ცალი, თაბაშირის ფიგურა ცილინდრი 11სმ/22სმ - 15 ცალი, თაბაშირის ფიგურა პრიზმა - 15 ცალი, თაბაშირის ფიგურა პირამიდა - 15 ცალი". ჯამში 42 195 ლარის ოდენობით, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტები. მატერიალური რესურსები გათვლილია 15 ადგილიანი ჯგუფისთვის სრულყოფილად. ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე კოლეჯის შეფასება ,,მეტწილად შეესაბამება'' აღნიშნულ კომპონენტში ექსპერტთა შეფასებით შეიცვალა ,,სრული შესაბამისობით''.

C გარემო - განთავსებულია კოლეჯის სარგებლობაში არსებულ ეზოში. გარემოში განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისთვის 15 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი.

B გარემო - განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად 15 პროფესიულ სტუდენტზე. ჩაწერილია პროგრამისთვის საჭირო კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები Adobe Photoshop, Adobe Illustrator, Adobe Indesign, FIGMA, Adobe After Effects, CorelDRAW.

ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ B გარემო გამოიყენება მხოლოდ ,,გრაფიკული დიზაინის''პროგრამის დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად, ორ ცვლაში. ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგიის მიხედვით, B გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. თუმცა კოლეჯის სამუშაო საათები გაათვალისწინებულია 9-18 სთ-მდე. კოლეჯი პროგრამას ახორციელებს წელიწადში 1 ახალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჯგუფის მიღებით და ორი ჯგუფის თანხვედრისას სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას კოლეჯმა გაატაროს 2-ვე ნაკადი ერთდროულად უპრობლემოდ, დაახლოებით ნახევარი წელია თანხვედრა.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ დამატების მიზნით განაცხადს თან ახლავს ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ,,ადამიანური რესურსის შესახებ“, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი. პროგრამას ჰყავს პროფესიული მოდულების განმახორციელებელი - 4 პირი, ხოლო ზოგადი და ქართული ენის მოდულების - 3 განმახორციელებელი. დარგობრივი მოდულებისთვის ძირითადად გამოყოფილია 2 განმახორციელებელი პირი.

3 პროფესიულ (თანამედროვე (AI, AR, VR) ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება გრაფიკულ დიზაინში; დარგობრივი ინგლისური ენა გრაფიკული დიზაინერისათვის; პრაქტიკული პროექტი/პორტფოლიო) და 2 ზოგად მოდულს (ინგლისური ენა; მეწარმეობა) მხოლოდ თითო განმახორციელებელი ჰყავს, თუმცა გასაუბრებით დადგინდა, რომ ზოგადი (ინგლისური ენა) მოდულის განმახორციელებელ პირს უდასტურდება (დარგობრივი ინგლისური ენა გრაფიკული დიზაინერისათვის) დარგობრივი მოდულის განხორციელების კომპეტენცია.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ დამატების მიზნით განაცხადს თან ახლავს ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ,,ადამიანური რესურსის შესახებ“, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ,,პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები'' (დამტკიცების ბრძანება №155 14.12.2022 ცვლილება №37 23.05.2025), რომლითაც განსაზღვრულია განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. წარმოდგენილი პირადი საქმეებით პროგრამის განმახორციელებლები შეესაბამებიან კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირად საქმეები, რომლის მიხედვით მათ უდასტურდებათ შესაბამისი კომპეტენცია. მასწავლებლებს აქვთ სწავლების გამოცდილებაც და სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენციაც. გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას ახორციელებენ, თუმცა არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებით. სასურველია, კოლეჯმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებს დამატებით შესთავაზოს სატრენინგო პროგრამა შეფასების ინსტრუმენტები ვალიდაციასა და შემდგომში მკიცებულებების ვერიფიკაციისათან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმით და ინტერვიურებით. პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად პროგრამის 14 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირია.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯს არ აქვს ,,პროგრამის ხელმძღვანელის'' საშტატო ერთეული, შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობა არ ანაზღაურდება, არ აქვს გაწერილი პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც შეეხება ფუნქცია-მოვალეობებს, გაწერილია დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ 3.4.2 მულის ,,ადამიანური რესურსი'' მე-3 პუნქტში. აღნიშნულის მიხედვით, ხელმძღვანელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს პროგრამის და თანდართული დოკუმენტების შემუშავებაში/მომზადებაში საავტორიზაციოდ წარდგენის მიზნით. ორგანიზება გაუწიოს ჩარიცხული სტუდენტების გაცნობით შეხვედრას, გააცნოს სტუდენტებს სწავლების სპეციფიკა, თავისებურებები, სასწავლო სივრცე და ცხრილი, კონსულტაცია გაუწიოს მასწავლებლებს სსხვადასხვა საკითხებში, მონაწილეობა მიიღოს ვერიფიკაციის პროცესში, კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკას, მონაწილეობა მიიღოს პროგრამის შეფასებაში და წარმოადგინოს რეკომენდაციები პროგრამის/ მოდულის განხორციელების, შეფასებისა და განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.

კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით, ,,გრაფიკული დიზაინის''პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულებაც შეთავსებული აქვს განმახორციელებელ პირს, რომელიც ასწავლის ყველაზე მეტ პროფესიულ მოდულს. პირი პროგრამის ხელმძღვანელობაზე თანხმობას აცხადებს შრომით ხელშეკრულებაზე დამატებითი შეთანხმებით. მზაობა დადასტურდა გასაუბრებითაც, თუმცა, ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულებას გარკვეული დროითი რესურსი სჭირდება, რაც ვერ ანაზღაურდება პროფესიული მასწავლებლის თანამდებობრივი საათობრივი ანაზღაურებით, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სრულყოფილად წარმართვისათვის, სასურველია კოლეჯს დაემატოს პროგრამის ხელმძღვანელის შტატი.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან განხორციელდა ინტერვიურება. დაწესებულებას სასწავლო რესურსი აქვს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. ძირითადად წარმოდგენილია ლინკები ინტერნეტ სივრციდან, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განთავსებულია ვიდეო-რგოლები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას სასწავლო რესურსი აქვს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. ექსპერტთა მიერ ვიზუალურად შემოწმდა ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში სტუდენტებისთვის გამოყოფილია 2 კომპიუტერი და სამკითხვლო მაგიდები. კომპიუტერებში ატვირთულია ელექტრონული სასწავლო რესურსები. პროფესიული სტუდენტს თავისუფალი წვდომა ასევე ექნება კოლეჯის ვებ გვერდიდან, სტუდენტების შესაბამისი წვდომით დაცულ სივრცეში.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია'', რაც უზრუნველყოფს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას.

კოლეჯი ახორციელებს უნივერსალური დიზაინის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმპ ასისტენტის და კვალიფიციური მასწავლებლების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/ შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსი, მასალა და ნედლეული.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამა ფინანსდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების შესაბამისად. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით. კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 9-ით. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი აგებულია სტუდენტთა მინიმალურ შესაძლო ოდენობაზე და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის შემოსავლები ანაზღაურებენ მის განხორციელებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაკავშირებულ ხარჯებს 9 სტუდენტისთვის, კოლეჯი გეგმავს 15 სტუდენტის მიღებას ერთ ჯგუფში, შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

სასურველია, კოლეჯმა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი გაიანგარიშოს სრული ჯგუფისთვის, 15 პირის შემთხვევაში მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების მიღება-ჩაბარების დოკუმენტები.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები
- ,,პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით'' (დამტკიცების ბრძანება №155 14.12.2022 ცვლილება №37 23.05.2025),
- დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიით''
- პროგრამის ბიუჯეტით;
- განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს პროგრამის შეფასებისთვის შემდეგი მექანიზმებს:

- კურსდამთავრებულთა და დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა;
- დამსაქმებლის გამოკითხვა;
- დარგის გარე ექსპერტების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობა

პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირებისა და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები) ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

პროგრამის განხორციელების შესაფასებლად, სასწავლო პროცესისა და პროგრამებით გათვალისწინებული მოდულების განხორციელების ხარისხის დადგენის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს გამოკითხვის ფორმებს და ატარებს პროფესიულ ტუდენტთა/მსმენელთა, განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვას.
გამოკითხვის საშუალებით შესაძლებელი ხდება პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირების მოსაზრებების და შეფასებების, მოლოდინების კვლევა და პროგრამის განმახორციელებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ინფორმირება.
გამოკითხვა/ინტერვიუირება უნდა ჩატარდეს პროგრამის განხორციელებისას მინიმუმ ერთხელ მაინც.
გამოკითხვის შედეგების გაანალიზების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედეგებს, ანალიზს რეკომენდაციებთან ერთად მიაწვდის პროგრამის ხელმძღვანელებს დასხვა დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც განსაზღვრავენ კვლევით გამოვლენილი საკითხის/ხარვეზების მიზეზებს და ადგენენ გაუმჯობესების მექანიზმებს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საჭიროებისამებრ უნდა წარადგინოს სამოქმედო გეგმა შემდგომი რეაგირებისთვის და გამოვლენილი საკითხების გაუმჯობესების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინფორმაცია გამოკითხვის შედეგების შესახებ ასევე ინდივიდუალურად ეგზავნებათ მოდულების განმახორციელებელ პერსონალს. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათთან შედეგების ინდივიდუალური განხილვა. პერსონალმა მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა გადმოუგზავნონ მათი მოსაზრება მიღებული ინფორმაციის შესახებ და თუ რა ქმედებების განხორციელებას გეგმავენ მოდულის და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოთხოვნით ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ხელმძღვანელი რგოლის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაიგეგმოს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინტერვიუირება, რომელიც ტარდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დასწრების გარეშე.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯი, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-6 მუხლის საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილი წერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა კოლეჯს შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ასევე სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ინიცირების გაგზავნით. თუმცა მიმდინარე ეტაპზე ცვლილების ინიცირების შესახებ ცენტრის ნაცვლად ინფორმაცია პროფესიული უნარების სააგენტოს ეგზავნება. რიგ შემთხვევაში კოლეჯის რეგულაცია გასაახლებელია პროფესიულ განათლებაში მიმდინარე და დამკვიდრებული სიახლეებს მიხედვით, შესაბამისად, სასურველია კოლეჯმა უზრუნველყოს გარკვეული პერიოდულობით რეგულაციების განახლება მიმდინარე სიახლეების კვალდაკვალ.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“
- განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამის შესაბამისი სასწავლო გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 21 თებერვლის №10 ბრძანებით პროგრამის პაკეტში, თუმცა ფიქსირდებოდა უზუსტობები ჯამურ საათებში, ვიზიტის ფარგლებში გასწორდა და შეიცვალა სასწავლო გეგმა, დაზუსტდა საათობრივი დატვირთვის ტექნიკური საკითხები (ცვლილების ბრძანება №38, 23/05/2025).

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომელიც შედგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაწილეობით. მოდულებს დაშვების წინაპირობები არ აქვს, თუმცა სასწავლო გეგმაში მათი ლოგიკური თანმიმდევრობა დაცულია. სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გეგმა ასევე ითვალისწინებს შუალედურ შეფასებასა და საკვალიფიკაციო გამოცდას. მოდულის დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო დეპარტამენტში წარადგენს კალენდარულ გეგმას, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მოდულის სწავლება.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯის დირექტორის 2022 წლი 21 თებერვლის №39 ბრძანებით შემუშავებული (ცვლილების ბრძანება №16, 24.03.2025) ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და კონსულტაციის გაწევის, განმეორებითი შეფასების, შეფასების გასაჩივრების წესი და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. სასწავლო პროცესი ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. დაწესებულება მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, მაგალითად, ხდება პროფესიული სტუდენტების წინასწარი ინფორმირება სასწავლო ცხრილების ცვლილებისას, საკონტაქტო საათების წინასწარ ჩატარებისას, გაცდენილი საათების შემთხვევაში აღდგენისას და ა.შ. დაწესებულების ცნობით, პანდემიის პირობებში საჭირო გახდა პროგრამების ნაწილის დისტანციურ რეჟიმში განხორციელება.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამაზე ,,გრაფიკული დიზაინი" სწავლებისას გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning), მულტიმედიური და ინტერაქტიული სწავლება, პორტფოლიოს მეთოდი, ტექნოლოგიების ინტეგრაცია - თანამედროვე გრაფიკული დიზაინის პროგრამების (როგორიცაა Adobe Photoshop, Illustrator, InDesign, Figma, Blender და სხვა) აქტიური გამოყენება სწავლის განუყოფელი ნაწილია. სტუდენტები ეუფლებიან ამ პროგრამებს პრაქტიკული დავალებისა და პროექტების მეშვეობით. კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით და აღჭურვილობით. პროგრამას ჰყავს თანამედროვე ტექნოლოგიების მცოდნე პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, რომლებიც ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ პროგრამის განხორციელებისას გამოიყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

კოლეჯის დირექტორის 2022 წლი 21 თებერვლის №39 ბრძანებით შემუშავებული (ცვლილების ბრძანება №16, 24.03.2025) ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" დარეგულირებულია სსიპ კოლეჯ - ,,იბერიას" სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხები - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და სხვა საკითხები.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია'', რომლის მიხედვითაც კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას სტუდენტთა ჩართულობით. თუმცა კოლეჯის რეგულაცია არ ითვალისწინებს პირისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცებას. სასურველია, მეტი სანდოობისა და სტუდენტის ინტერესების დაცულობისათვის კოლეჯი ამტკიცებდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას.

სსიპ კოლეჯის ,,იბერია" დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის №36 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს მუხლი 10-ს ,,პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი'', რომლის მიხედვით გამოყოფილია რა შეიძლება იყოს სტუდენტზე ორიენტირება. დოკუმენტის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელებზე ორიენტირებული მიდგომა ხელს უწყობს ისეთი პროგრამის შემუშავებას, რომელიც ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიღწევებზე, კერძოდ: პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებული სწავლება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესის განვითარებაში, მის შინაარსსა და შეფასებაში. აქტიური სწავლების სტილი, პირველ რიგში, უნდა აისახოს სწავლების, შეფასების მეთოდებსა და პოგრამის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებულ სასწავლო მასალებზე. პროგრამისა და მოდულის აღწერისას სწავლის შედეგების გამოყენება პროფესიული სტუდენტის/მსმენელისთვის მკაფიოს ხდის იმას, თუ რისი მიღწევის მოლოდინი უნდა ქონდეთ მათ პროგრამის ან მოდულის დასრულების შემდეგ. ეს პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს ასევე ეხმარება პროგრამის შერჩევასა და პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებულ სწავლაში აქტიურ მონაწილეობაში. სასწავლო პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მრავალი კვლევით დადასტურებულ მნიშვნელოვან სასწავლო პრინციპს. პროფესიული სტუდენტები/მსმენელები სწავლობენ უკეთესად, როდესაც ისინი აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებული სწავლება ხელს უწყობს და აღიარებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინიციატივას, ახალისებს შეკითხვებს მათი მხრიდან, აღიარებს გამოცდილების გადამწყვეტ როლს სწავლაში, ხელს უწყობს ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას, ითვალისწინებს მათ გონებრივ მოდელს, შეფასების პროცესში ხაზს უსვამს შესრულებას და გაცნობიერებას, ახალი ცოდნის განვითარების და გააზრების საშუალებას.

სასწავლო პროცესში აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება და მონაცვლეობა და სწავლების მეთოდების კომბინირება ზრდის სწავლების ეფექტურობას და მიღებული ინფორმაციის ეფექტურ დამახსოვრებას უზრუნველყოფს. აქტიურ სწავლებაში იგულისხმება სწავლების ინტერაქტიული ფორმა, როდესაც პროფესიული სტუდენტები/მსმენელები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში, ეძლევათ სხვადასხვა სახის დავალებები.

პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შესაფასებლად გამოყენებული უნდა იყოს პროგრამით განსაზღვრული წინასწარ ცნობილი კრიტერიუმები, რეგულაციები და პროცედურები.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინი“ არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ გარემოში. თუმცა, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ კომპანიებთან:
1. ი/მ ,,ნინო გურგენიძე“;
2. ,,ლლ პრინტ სტუდია“;
3. ,,აია ტექსტილი“;
4. შპს ,,რაპაკა“.

პროგრამას არ აქვს მოდული ,,პრაქტიკული პროექტი“, რომელიც საჭიროებს კომპანიებთან ერთად განხორციელებას, კოლეჯი პარტნიორებთან გეგმავს მხოლოდ სასწავლო ექსკურსიებს სხვადასხვა მოდულის ფარგლებში. ამდენად, სასურველია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში დაზუსტდეთ თანამშრომლობის პირობები.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრმა ხორციელდება სსიპ კოლეჯში „იბერია“, მის: ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №61-ში, დაწესებულებამ წარმოადგინა უსაფრთხოების წესები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 24 აპრილის №18 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია გრაფიკული დიზაინის სპეციალისტისთვის. დოკუმენტში გაწერილია შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ სამუშაოს დაწყებამდე, სამუშაოების წარმართვის პროცესში, საგანგებო სიტუაციების დროს და სამუშაოს დასრულების შემდგომ.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 21 თებერვლის №10 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით (ცვლილების ბრძანება №38, 23/05/2025)
- პროგრამის სასწავლო გეგმით
- მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლი 21 თებერვლის №39 ბრძანებით შემუშავებული (ცვლილების ბრძანება №16, 24.03.2025) ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებული ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიით''
- დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის №36 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოთი
- პარტნიორებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ცვლილების ბრძანება №31, 04.06.2024), რომელიც მოიცავს დანართი №1-ს, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. რეგულაციის შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია ხორციელდება შეფასების პროცესამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე. პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს (სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს) წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესი ასევე გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 31-ის სახით, რომლის მიხედვით მოდულზე სწავლის დაწყებამდე, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, შეიმუშავებს სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტს და უთანხმებს დარგის სპეციალისტს.
მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით შეფასების ინსტრუმენტი შეფასების პროცესამდე 2 კვირით ადრე შემუშვდება მასწავლების მიერ. სასურველია, სტუდენტთა შეფასების პროცესთან დაკავშირებული საკითხები ერთგვარად რეგულირდებოდეს კოლეჯის სხვადასხვა მარეგულირებელ აქტებში.
წარმოდგენილ ინსტრუმენტს აფასებს სასწავლო პროცესის მენეჯერი (სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის სპეციალისტი) და პროგრამის ხელმძღვანელი.

ვიზიტის ფარგლებში მასწავლებლებთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამების რაოდენობიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევაში, ვინაიდან კოლეჯს მხოლოდ ერთი პოზიცია აქვს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისთვის (სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი) და ხშირად დაკავებულია, შეფასების ინსტრუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვალიდაციისთვის მასწავლებლები კონსულტირებას გადიან ხარისხის მიმართულებით დასაქმებულ პირეთან - ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტები.
სასურველია, სტუდენტთათვის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური შეფასებისთვის და ასევე, ხარისხის მიმართულებით თანამშრომლებისთვის ინტერესთა კონფლიქტის სრულყოფილად გამორიცხვის მიზნით კოლეჯმა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების დამატება სასწავლო პროცესის მიმართულებით, ვინც ჩართული იქნება ვალიდაციის პროცესში.
პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური.
შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრონველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას. პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე ცნობილია გასაჩივრების პროცედურები, თუმცა ამის საჭიროება არ ჰქონიათ. ასევე, აქვთ ინფორმაცია, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ან სწავლის დასრულებამდე განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი.

კოლეჯს 2022 წლის 7 ნოემბრის №136 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების და პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის და პირობების შესახებ. პროგრამაში შუალედური შეფასების პერიოდად განსაზღვრულია 38-39 კვირა. კოლეჯს აქვს პროგრამებზე შუალედური გამოცდის ჩატარების გამოცდილება, თუმცა ჯერ არ აქვს რეგულაცია განსაზღვრული საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მიმდინარე პროგრამებში ჯერ არ დამდგარა საჭიროება. პროგრამა ითვალისწინებს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, რეკომენდირებულია, კოლეჯმა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების საჭიროების დადგომამდე გონივრულ ვადაში შეიმუშაოს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ (ცვლილების ბრძანება №31, 04.06.2024), თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს, იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით. მოწმდება მიღებული გადაწყვეტილების სისწორე და გაკეთებული შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ობიექტურობა. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულება, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯის დირექტორის 2022 წლი 21 თებერვლის №39 ბრძანებით შემუშავებული (ცვლილების ბრძანება №16, 24.03.2025) ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 33-ე მუხლის თანახმად, უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს მოდულის დასრულებამდე. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტით მოდულის სწავლის შედეგების შეფასების უწყისები წარმოადგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულზე სწავლის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით.

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში; პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშოა დღისა; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენენ ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ოქმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფუძველზე, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა სახელობით სიასთან ერთად. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯის არქივს გადასცემს სწავლის შედეგების შეფასების უწყისებს, რომლებიც ინახება მუდმივად, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს - 3 (სამი) წლის ვადით შესანახად, რის შემდეგაც, აქტის საფუძველზე, მოხდება პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულებების განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად; პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯის ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლი 21 თებერვლის №39 ბრძანებით შემუშავებული (ცვლილების ბრძანება №16, 24.03.2025) ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 35-ე მუხლის თანახმად, მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისში ასახულ შედეგებს 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და ხარისხის სამსახურს. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ (ცვლილების ბრძანება №31, 04.06.2024),
- ხარისხის მართვის მენეჯერთან და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით
- კოლეჯს 2022 წლის 7 ნოემბრის №136 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების და პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესით
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლი 21 თებერვლის №39 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილების ბრძანება №16, 24.03.2025) ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

09.06.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: